საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო
გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი

ადმინისტრაციული მიწერილობა
№ 003978

„ 14 “ ნოემბერი 2025 წ. ქ. თბილისი
(შედგენის ადგილი)

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სარგებლობის სფეროში საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევების აღმოსაფხვრელი ღონისძიებების გატარების ან რაიმე ქმედებებისაგან თავის შეკავების შესახებ

სახელმწიფო საჩვენებელი დანესებულება- გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი
(ადმინისტრაციული მიწერილობის გამცემი ორგანოს დასახელება, იურიდიული მისამართი)

ქ. თბილისი, ვ. წიფლიანის I შეს №1

ადმინისტრაციული მიწერილობის ობიექტი: ი/მ გივი ტაბატაძე (ს/ს 18001012547)
(ფიზიკური პირის შემთხვევაში – სახელი, გვარი,

[redacted]

(ფიზიკური პირის მისამართი, საცხოვრებელი ადგილი, იურიდიული პირის შემთხვევაში – იურიდიული პირის საიელმოდება, იურიდიული მისამართი)

[redacted] მინისტრის 2022 წლის 20 აპრილის №2-305 ბრძანებით გაცემული

გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება

დარღვევები, რომლებზეც გაიცემა ადმინისტრაციული მიწერილობა: იხილეთ №003978

ადმინისტრაციული მიწერილობის დანართი №1
(დარღვევების ჩამონათვალი, რომლებზეც გაიცემა მიწერილობა)

გასატარებელი ღონისძიებები: იხილეთ N00039778 ადმინისტრაციული მიწერილობის დანართი 2

(დავალების არსი, საჭიროების შემთხვევაში, შესრულების ვადები)

თან ერთვის დანართი: 4 ფურცელი

(დანართის №, გვერდების რ-ბა, დანართების არარსებობის შემთხვევაში დაისმევა ჭ)

პასუხისმგებლობა ადმინისტრაციული მიწერილობის შეუსრულებლობის შემთხვევაში:

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79^8 მუხლის ბანიშნის პირველი ნაწილის ბასაბამად

(კანონის მუხლ(ებ)ი, შესაბამისი პუნქტი ან ნაწილი, ქვეპუნქტი)

მიწერილობის გამცემი თანამდებობის პირი: გურამ დავითი ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე - მაკვალი სახელმწიფო ინსპექტორი ნინო კოსოლაპე

(თანამდებობა, სახელი, გვარი)

თანამდებობის პირის ხელმოწერა: ნ. კოსოლაპე

ადმინისტრაციული მიწერილობის მიმღები (ივსება პირდაპირი ჩაბარების შემთხვევაში):

იგზავნება ელ.წერილით

(რეგულირების ობიექტის წარმომადგენელი პირი, მისი ხელმოწერა და თარიღი)

2025 წლის 14 ნოემბრის №003978 ადმინისტრაციული მიწერილობის დანართი №1

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსის 2024 წლის 8 ნოემბრის № DES92400000526 ბრძანების საფუძველზე, დეპარტამენტის უფლებამოსილი თანამშრომლების მიერ, განხორციელდა ზესტაფონის მუნიციპალიტეტში, სოფელ სვირში მდებარე, ი/მ გივი დეკანოიძის (ს/კ 18001012547) კუთვნილი თევზსაშენი ტბორის მოწყობის მიზნით, წყლის შესაკავებელი ნაგებობის მოწყობასა და ექსპლუატაციაზე, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2022 წლის 20 აპრილის №2-305 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული პირობებისა და გარემოს დაცვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესრულების მდგომარეობის გეგმიური შემოწმება.

შემოწმების შედეგად გამოვლინდა შემდეგი დარღვევები:

1. მინისტრის 2022 წლის 20 აპრილის №2-305 ბრძანების **მე-3 პუნქტის თანახმად,** ი/მ გივი დეკანოიძე საქმიანობას არ ახორციელებდა (მშენებლობის ეტაპზე) გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშში წარმოდგენილი, გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების, გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმების შესაბამისად. კერძოდ:

1.1. ინსპექტირების შედეგად დადგინდა, რომ სატბორე ადგილებში, სადაც განხორციელებულია ექსკავაცია და შექმნილია ქვაბულები (საერთო ფართობი 7693 მ²) არ არის მოხსნილი და დასაწყობებული ნიადაგის ნაყოფიერი ფენა, ნაყოფიერი ფენა აღრეულია ექსკავირებულ მასასთან ერთად. ასევე, ექსკავირებული ინერტული მასალა (აღრეული მიწასთან ერთად) არ არის დასაწყობებული გზშ ანგარიშის შესაბამისად;

1.2. მშენებლობის ეტაპზე დაგეგმილი გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების შესაბამისად, ტერიტორიაზე არ არის გამაფრთხილებელი ნიშნები, არ არის შემოღობილი, ქვაბულები არის ღია, მეტეოროლოგიური პირობებიდან გამომდინარე იდგა წყალი და არ იყო დაცული უსაფრთხოება, ასევე არ იყო განთავსებული კონტეინერები საყოფაცხოვრებო ნარჩენების შესაგროვებლად;

2. მინისტრის 2022 წლის 20 აპრილის №2-305 ბრძანების **მე-6 პუნქტის თანახმად,** ი/მ გივი დეკანოიძეს არ აქვს შესრულებული „ცხოველთა გადამდები დაავადებების საწინააღმდეგო პროფილაქტიკურ-საკარანტინო ღონისძიებათა განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 14 ივლისის №348 დადგენილებით განსაზღვრული მოთხოვნები;

3. მინისტრის 2022 წლის 20 აპრილის №2-305 ბრძანების **მე-8 პუნქტის თანახმად,** ი/მ გივი დეკანოიძის მიერ სამინისტროში არ არის წარდგენილი ტბორში ჩასასმელი მასალის შემოტანის წყაროსთან დაკავშირებით დამატებითი ინფორმაცია.

4. შემოწმების შედეგად ასევე გამოვლინდა გარემოს დაცვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შეუსრულებლობის ფაქტი. კერძოდ:

4.1. ი/მ გივი დეკანოიძის მიერ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა გამოყენებული იყო არამიზნობრივად, ტერიტორიიდან ამოღებული ინერტული მასალა აღრეულია მიწასთან ერთად და განთავსებულია კერძო საკუთებაში (საკადასტრო კოდები: №32.11.31.320 და №32.11.32.571) რეგისტრირებულ სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებზე;

4.2. ი/მ გივი დეკანოიძემ ტბორის მოწყობის მიზნით სამუშაოები აწარმოა 7693 მ² კერძო საკუთრების უფლებით რეგისტრირებულ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებზე, ნიადაგის ნაყოფიერი ფენის გადახსნის და შემდგომი რეკულტივაციის მიზნით დასაწყობების გარეშე, რამაც გამოიწვია ნიადაგის დეგრადაცია.

შემოწმების შედეგად გამოვლენილ დარღვევებზე, 2024 წლის 19 დეკემბერს, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79⁸ მუხლის პირველი ნაწილის, 52-ე მუხლისა და 53² მუხლის შესაბამისად, ი/მ გივი დეკანოიძის მიმართ, შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ №088634 ოქმი, რომელიც განსახილველად გადაეგზავნა ზესტაფონის რაიონულ სასამართლოს.

სასამართლომ, 2025 წლის 5 თებერვლის №4/3-2025 დადგენილებით, კომპანია სცნო ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენად, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79⁸ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ ქმედებაში და სახდელის სახით შეუფარდა - ჯარიმა 5000 ლარის ოდენობით. ამასთან, შეწყვიტა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 52-ე მუხლითა და 53² მუხლით დაწყებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოება ფაქტის არარსებობის გამო. დღეს არსებული მდგომარეობით, დადგენილება შესულია კანონიერ ძალაში.

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის 46-ე მუხლი შესაბამისად, სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება ადგენს გონივრულ ვადას გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული პირობების შესრულებისთვის.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ი/მ გივი დეკანოიძის მიმართ, შემუშავდა დეპარტამენტის 2025 წლის 14 ნოემბრის №003978 ადმინისტრაციული მიწერილობა.

2025 წლის 14 ნოემბრის №003978 ადმინისტრაციული მიწერილობის დანართი №2

ი/მ გივი დეკანოიძის (ს/კ 18001012547) კუთვნილი თევზსაშენი ტბორის მოწყობის მიზნით, წყლის შესაკავებელი ნაგებობის მოწყობასა და ექსპლუატაციაზე, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2022 წლის 20 აპრილის №2-305 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული პირობებისა და გარემოს დაცვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესრულების მდგომარეობის გეგმიური შემოწმების შედეგად გამოვლენილი დარღვევების აღმოსაფხვრელად, **ი/მ გივი დეკანოიძე ვალდებულია:**

1. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან საქმიანობა განხორციელოს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის, მასში წარმოდგენილი სქემის, გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების, დასკვნების და რეკომენდაციების, გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმების და ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმების შესაბამისად (მინისტრის 2022 წლის 20 აპრილის №2-305 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების **მე-3 პუნქტი).** მათ შორის:

1.1 ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **არაუგვიანეს 2 (ორი) თვის ვადაში** უზრუნველყოს, ტბორის ქვაბულის ირგვლივ სავალი ბილიკების მოწყობა და ტბორის ნაპირის შემოღობვა 1.5 მეტრი სიმაღლის მავთულბადით, ადამიანის ჯანმრთელობისა და უსაფრთხოებისთვის ტბორში უნებლიედ ცხოველების ან ადამიანისაგან ჩავარდნის დაცვის მიზნით, გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშში წარმოდგენილი გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების შესაბამისად;

1.2 ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში** უზრუნველყოს, საწარმოს ტერიტორიაზე გამაფრთხილებელი ნიშნების და საყოფაცხოვრებო ნარჩენების შესაგროვებლად, შესაბამისი მარკირების მქონე სათანადო რაოდენობის, კონტეინერების განთავსება, გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშში წარმოდგენილი გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების შესაბამისად;

2. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **დაუყოვნებლივ დაიწყოს** და შემდგომ **მუდმივად** უზრუნველყოს, „ცხოველთა გადამდები დაავადებების საწინააღმდეგო პროფილაქტიკურ-საკარანტინო ღონისძიებათა განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 14 ივლისის №348 დადგენილებით განსაზღვრული მოთხოვნების შესრულება (მინისტრის 2022 წლის 20 აპრილის №2-305 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების **მე-6 პუნქტი);**

2025 წლის 14 ნოემბრის №003978 ადმინისტრაციული მიწერილობის დანართი №2

3. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში** უზრუნველყოს, ტბორში ჩასასმელი მასალის შემოტანის წყაროსთან დაკავშირებით დამატებითი ინფორმაცის სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენა (მინისტრის 2022 წლის 20 აპრილის №2-305 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მე-8 პუნქტი);